

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა შემდეგი შემადგენლობით: მ. ვაჩაძე(თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა.

აღწერილობითი ნაწილი:

2006წ. 15 ივნისს ს. კ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის მოპასუხისთვის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2006წ. 26 აპრილს განცხადებით მიმართა ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციას და მოითხოვა 2005წ. 15 აპრილის სასამართლო განჩინებით შპს «ო-ის» გათავისუფლებულ გაკოტრების მმართველ თ. ბ-ესა და ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციას შორის 2005წ. 15 აპრილიდან 2005წ. 22 აპრილამდე განხორციელებული მიმოწერის ასლები, თუმცა მოპასუხემ არავითარი რეაგირება არ მოახდინა მის მოთხოვნაზე და არ გაითვალისწინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის ათდღიანი ვადა და ამავე კოდექსის 41-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრული წერილობითი უარის განცხადების სამდღიანი ვადა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეიცავდა კომერციულ, პროფესიულ ან სახელმწიფო საიდუმლოებას.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა მოპასუხეს შპს «ო-ის» ანგარიშზე ბანკის ქუთაისის ფილიალში არსებულ თანხაზე მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა დავალებოდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით ს. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციას დაევალა 2005წ. 26 აპრილის '3787 განცხადების საფუძველზე მოსარჩელის მიერ შპს «ო-ის» ანგარიშზე ბანკის ქუთაისის ფილიალში არსებული თანხის თაობაზე მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლსა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლზე და დადგინდად მიიჩნია, რომ ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ მოსარჩელის 2005წ. 26 აპრილის განცხადებას 2005წ. 6 მაისს გასცა პასუხი, რითაც დაირღვა მოსარჩელის კონსტიტუციური უფლება საჯარო ინფორმაციის თავისუფლად მიღებაზე, აგრეთვე – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები ინფორმაციის თავისუფლებაზე.

რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხემ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადებს, ხოლო ამავე კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, შპს «ო-ის» ანგარიშზე ბანკის ქუთაისის ფილიალში არსებული თანხის თაობაზე მოთხოვნილი ინფორმაცია იყო საჯარო ინფორმაცია, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო გაცემული.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005წ. 8 ივლისის გადაწყვეტილება ქუთაისის საგადასახადო ინსპექციამ (ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლე) სააპელაციო წესით გაასაჩივრა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. აპელანტის მითითებით, სასამართლომ გადაწყვეტილება საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლის იგნორირებით მიიღო, რომელიც მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას საგადასახადო საიდუმლოებად თვლის და მის გაცემას დაუშვებლად მიიჩნევს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 26 ოქტომბრის განჩინებით ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება შპს «ო-ი» ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად; ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის შუამდგომლობას სს «..... ბანკის» ქუთაისის ფილიალის მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ უარი ეთქვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის უფლებამონაცვლე) 2005წ. 13 დეკემბრის განჩინებით ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005წ. 8 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, შპს «ო-ის» ანგარიშზე სს «..... ბანკის» ქუთაისის ფილიალში არსებული თანხის თაობაზე მოთხოვნილი ინფორმაცია იყო საჯარო ინფორმაცია, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო გაცემული, ხოლო სარჩელით მოთხოვნილი ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რადგან ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას იგი ასეთად აღნიშნული კოდექსის 27¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად არ მიუჩნევია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005წ. 13 დეკემბრის განჩინება ქუთაისის საგადასახადო ინსპექციამ საკასაციო წესით გაასაჩივრა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა ამავე მუხლის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაციისა, კერძოდ: დღგ-ის გადამხდელის დასახელებისა და მისამართისა, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის, ინფორმაციისა და საწარმოს საწესდებო კაპიტალის შესახებ ინფორმაციისა.

კასატორი აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლის პირველი ნაწილის არც ერთ ქვეპუნქტში არ არის მითითებული გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ ინფორმაციაზე, ამიტომ იგი საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება, ხოლო საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო საიდუმლოების ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების დაკარგვა ან ასეთი ინფორმაციის გახმაურება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობის შესაბამისად, ამავე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით კი გადასახადის გადამხდელის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. მოცემულ საქმეში არ მოიპოვება გადასახადის გადამხდელ შპს «ო-ის» ასეთი წერილობითი ნებართვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია, რომ შპს «ო-ის» ანგარიშზე სს «..... ბანკის» ქუთაისის ფილიალში არსებული თანხის თაობაზე მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა კომერციულ საიდუმლოებას, რადგან ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას იგი ასეთად არ მიუჩნევია აღნიშნული კოდექსის 27¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რომ არ გაითვალისწინა კანონის მოთხოვნა გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემთა გასაიდუმლოების შესახებ, კერძოდ, საჯარო დაწესებულება, რომელიც ასეთ ინფორმაციას ღებულობს, ავტომატურად ცნობს მას საიდუმლო ინფორმაციად.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეში არ ჩააბა მესამე პირად სს «..... ბანკი», რომლისგანაც უნდა მომხდარიყო ინფორმაციის მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006წ. 29 მარტის განჩინებით ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005წ. 13 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ს. კ-ის სარჩელი ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სსკ-ის დებულებანი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმეზე თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლი («საგადასახადო საიდუმლოება») და სამართლებრივ ტერმინებს არასწორი განმარტება მისცა, რაც სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების კანონისმიერ საფუძველს იძლევა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კასატორმა საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლზე სააპელაციო საჩივარშიც მიუთითა და სწორედ მის საფუძველზე მოითხოვა მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს 2005წ. 13 დეკემბრის განჩინებაში აღნიშნული მუხლის თაობაზე საერთოდ არ უმსჯელია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი. მოცემული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მართალია, დადგენილია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, მაგრამ ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განმარტებულია, რომ ამ მუხლის პირველ პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს. სწორედ ამგვარ კანონისმიერ შეზღუდვას წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის უფლება საგადასახადო კოდექსით განმტკიცებულ «საგადასახადო საიდუმლოების» დაცვაზე.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ ს. კ-ის მიერ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციასა და სასამართლოში მიმართვის დროისათვის 2004წ. საგადასახადო კოდექსი უკვე მოქმედებდა (იგი 2005წ. 1 იანვრიდან ამოქმედდა) და მოცემულ სამართალურიერთობაზე მისი დებულებები უნდა გავრცელდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსი სპეციალურ კანონმდებლობას წარმოადგენს და ნორმათა შორის კოლიზიისას მას უპირატესი ძალა ენიჭება, რაც მოცემულ სამართალურიერთობაზე საგადასახადო კოდექსის ნორმების უპირატესი გამოყენების საფუძველს იძლევა.

მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო კოდექსის დებულებათა უპირატესი გამოყენების უფლებას «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტიც ადასტურებს, რომლის თანახმად, იერარქიის ერთსა და იმავე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა მოქმედებს. საგადასახადო კოდექსი 2004 წელსაა მიღებული, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი – 1999 წელს. ამდენად, უპირატესი მოქმედების უფლება სწორედ 2004წ. საგადასახადო კოდექსს აქვს მინიჭებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მოცემულ დავაზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების გავრცელების თაობაზე და მიიჩნევს, რომ მასზე საგადასახადო საიდუმლოების შესახებ საგადასახადო კოდექსით დადგენილი სპეციალური ნორმა უნდა გავრცელდეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს და ეთანხმება კასატორის მოსაზრებას და განმარტავს შემდეგს:

2004წ. საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა: ა) დღგ-ის გადამხდელის დასახელებისა და მისამართისა; ბ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ ინფორმაციისა და გ) საწარმოს საწესდებო კაპიტალის შესახებ ინფორმაციისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილიადგენს საგადასახადო ორგანოს, მისი თანამდებობის პირის, სპეციალისტისა ან/და ექსპერტის ვალდებულებას, დაიცვას გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემთა საიდუმლოება. ამასთან, ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია შეიძლება გაიცეს მხოლოდ შემდეგ პირებზე: ა) ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებზე; ბ) სამართალდამცავ ორგანოებზე; გ) სასამართლოზე; დ) სხვა სახელმწიფოების საგადასახადო ორგანოებზე; ე) სასამართლოს აღმასრულებლებზე (122.2 მუხლი). ნიშანდობლივია, ასევე, რომ მოცემული კოდექსი, ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისაგან განსხვავებულ წესს ადგენს და განსაზღვრავს, რომ ცნობები გადასახადის გადამხდელის შესახებ მისი აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან საგადასახადო საიდუმლოებად ითვლება, რაც გულისხმობს, რომ იგი ავტომატურად იძენს გრიფს «საიდუმლო» და მისი გასაიდუმლოების რაიმე სპეციალური პროცედურის წარმოება საჭირო არ არის (122.10 მუხლი). აქვე დადგენილია, რომ საგადასახადო ორგანოებში არსებული საგადასახადო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას აქვს შენახვისა და დამუშავების სპეციალური რეჟიმი და მასთან მხოლოდ ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული თანამდებობის პირები დაიშვებიან (122.7 მუხლი). ამავე კოდექსის 122-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-8 ნაწილებით შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ საგადასახადო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობაა დადგენილი. საგადასახადო საიდუმლოების დაცვას ითვალისწინებს, ასევე, ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის «ნ» ქვეპუნქტი, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტი და 101-ე მუხლის მე-9 ნაწილის დებულებები.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამავე მუხლის მე-9 პუნქტს, რომელიც განსაზღვრავს, რომ გადასახადის გადამხდელის შესახებ ამ მუხლით დაცული ინფორმაცია სხვა პირს მხოლოდ გადასახადის გადამხდელის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში შეიძლება გადაეცეს.

საკასაციოსასამართლო, ამასთან, აღნიშნავს, რომ საიდუმლოების ცნებასა და მისი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებას 1997წ. საგადასახადო კოდექსიც ითვალისწინებდა, მაგრამ იგი «მონაცემთა საიდუმლოების» სახელით იწოდებოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს. კ-ის მიერ შპს «ო-ის» ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია, ნამდვილად საგადასახადო კანონმდებლობის მიერ «საგადასახადო საიდუმლოებად» აღიარებულ ინფორმაციას წარმოადგენდა და მისი გაცემა თავად გადამხდელის – შპს «ო-ის» თანხმობის გარეშე არ დაიშვებოდა. საქმეში არსად მოიპოვება და არც მხარეებს დაუყენებიათ საკითხი იმის შესახებ, რომ შპს «ო-ი» აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე თანახმა იყო, რაც სრულ საფუძველს იძლევა, ს. კ-ის სარჩელი უსაფუძვლო და დასაბუთებლად იქნეს ცნობილი და მას ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005წ. 13 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ს. კ-ის სარჩელი ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005წ. 13 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. კ-ის სარჩელი ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.